

სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე ასოცირებული პროფესორების
და ასისტენტ პროფესორის სამსახურში მისაღებად რექტორის 2025 წლის 5 აგვისტოს
ბრძანებების №167/01-01 და №166/01-01 საფუძველზე ქიმიის დეპარტამენტის ზოგადი,
არაორგანული და მეტალორგანული ქიმიის, ფიზიკური და ანალიზური ქიმიის კათედრებზე
ასოცირებული პროფესორების და მაკრომოლეკულების ქიმიის კათედრაზე ასისტენტ
პროფესორის აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად გამოცხადებული კონკურსის
ჩატარების უზრუნველსაყოფად უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2025 წლის 12
სექტემბრის №51/2025 დადგენილების მე-9 პუნქტის საფუძველზე დამტკიცებული კომისიის
სხდომის
შემაჯამებელი ოქმი

ქ. თბილისი

1 ოქტომბერი, 2025 წ., ოთახი 143

14:00

სხდომას კომისიის 5 წევრიდან ესწრებოდა 5-ვე წევრი:

1. რამაზ გაბოკიძე - თსუ-ს ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი (კომისიის თავმჯდომარე);
2. მარინე ავალიანი - თსუ-ს რაფიელ აგლაძის სახელობის არაორგანული ქიმიისა და ელექტროქიმიის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ თანამშრომელი (კომისიის თავმჯდომარის მოადგილე);
3. ნინო თაყაიშვილი - თსუ-ს ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ასისტენტ-პროფესორი (კომისიის მდივანი);
4. ანტონინა მსხილაძე - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა, მათემატიკის, ტექნოლოგიებისა და ფარმაციის ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი;
5. ქრისტიანა გიორგაძე - თსუ-ს ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ასისტენტ-პროფესორი

დღის წესრიგი:

1. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ქიმიის დეპარტამენტის: ზოგადი, არაორგანული და მეტალორგანული ქიმიის კათედრაზე (ასოცირებული პროფესორის 1 ვაკანსია „ა“ კატეგორია); ფიზიკური და ანალიზური ქიმიის კათედრაზე (ასოცირებული პროფესორის 1 ვაკანსია „ა“ კატეგორია); მაკრომოლეკულების ქიმიის კათედრაზე (ასისტენტ პროფესორის 1 ვაკანსია „ა“ კატეგორია) გამოცხადებული კონკურსის შეფასების პირველი და მეორე ეტაპების შედეგების განხილვა, ურთიერთშეჯერება და შეჯამება.
2. კონკურსის შედეგების ამსახველი შემაჯამებელი ოქმის უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოსთვის დასამტკიცებლად გადაცემა.

1. მოისმინეს:

კომისიის თავმჯდომარის პროფესორ რამაზ გახოვიძის ინფორმაცია საკონკურსო კომისიის მიერ კონკურსანტების შეფასების ორივე ეტაპის შედეგების შეჯამებისა და კენჭისყრის შედეგების შესახებ. კომისიის წევრებმა იმსჯელეს და შეაჯამეს კონკურსის ორივე ეტაპი და ფარული კენჭისყრის შედეგები.

საკონკურსო დოკუმენტაციის მიმღები აპარატისაგან კანონმდებლობითა და უნივერსიტეტის შიდა რეგულაციებით დადგენილი წესით, გადმოცემული საკონკურსო დოკუმენტაცია იყო დალუქული სახით. საკონკურსო დოკუმენტაცია გაიხსნა კომისიის მიერ და კომისია შეუდგა მუშაობას.

ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე დეპარტამენტი - ქიმია, კათედრა - ზოგადი, არაორგანული და მეტალორგანული ქიმიის, ასოცირებული პროფესორის (კატეგორია „ა“) 1 ვაკანსიაზე საბუთები შემოიტანა ერთმა კანდიდატმა - ქიმიის აკადემიურმა დოქტორმა მაია რუსიამ.

კონკურსის პირველ ეტაპზე საკონკურსო კომისიის მიერ შემოწმდა კონკურსანტ მაია რუსიას საკონკურსო დოკუმენტაცია და შეფასდა წარმოდგენილ ანკეტაში (118 დადგენილების დანართი №3) მოყვანილი ინფორმაცია კონკურსანტის შეფასების ფორმის (118 დადგენილების დანართი №4) მიხედვით.

შეფასების I კატეგორიაში (ფორმალური კვალიფიკაციის შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან) კონკურსანტი შეფასდა კრიტერიუმით „კვალიფიკაცია აკმაყოფილებს მოთხოვნებს“.

შეფასების II კატეგორიაში (პედაგოგიური გამოცდილების შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან) მოცემული მონაცემების საფუძველზე: მაია რუსიას აქვს 10 წელზე მეტი პედაგოგიური სტაჟი, წლების განმავლობაში კითხულობს ლექციებს როგორც ბაკალავრიატის, ასევე მაგისტრატურის სტუდენტებთან, ბოლო 6 წელიწადში - 7 საგანს, ატარებს სასემინარო და ლაბორატორიულ მეცადინეობებს, არის 5 სახელმძღვანელოს თანაავტორი, აქვს ელექტრონული კურსები - კომისიის მიერ კონკურსანტი შეფასდა კრიტერიუმით „მაღალი“.

შეფასების III კატეგორიაში (სამეცნიერო - კვლევითი საქმიანობა) წარმოდგენილი მონაცემების საფუძველზე: პუბლიკაციები იმპაქტ-ფაქტორის მქონე ჟურნალებში - 9; სხვა მნიშვნელოვანი პუბლიკაციები - 69, მათ შორის 5 მონოგრაფია, 10 საკონფერენციო მასალა და 54 სტატია; კონკურსანტის მოხსენებები საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებზე ბოლო 6 წლის განმავლობაში - 14; ციტირების ინდექსი 39, h-ინდექსი - 4, g-ინდექსი-5; პატენტი-3; კონკურსანტის მიერ შესაფასებლად წარმოდგენილი ერთი სამეცნიერო ნაშრომი, რომელიც დარგთან შესაბამისობაში მყოფი მაღალი სამეცნიერო ღირებულების მქონე ნაშრომია; სამეცნიერო კვლევების კონცეფცია, რომელიც სრულად შეესაბამება ვაკანსიის პროფილს და ასახავს სამომავლო მოღვაწეობის მიზნებს - კონკურსანტი III კატეგორიის ორივე ნაწილში შეფასდა კრიტერიუმით „მაღალი“.

შეფასების IV კატეგორიაში (სხვა სახის აქტივობა, ბოლო 6 წელი)) მოტანილი მონაცემების მიხედვით: მაია რუსია იყო ნორჩ ქიმიკოსთა სკოლის კოორდინატორი და პედაგოგი (საბავშვო უნივერსიტეტთან); საჯარო სკოლებთან ურთიერთობის კოორდინატორი; პროექტის - „მოგზაურობა ქიმიის სამყაროში“ - არაორგანული ქიმიის სექციის ხელმძღვანელი; ფლობს უცხო ენებს და კომპიუტერულ პროგრამებს: MS Word, MS Excel, Internet.

კონკურსანტის მიერ, ანკეტაში წარმოდგენილი დამატებითი ინფორმაციის თანახმად: მაია რუსია 2000 წ იყო პრეზიდენტის სტიპენდიანტი; სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელი; საერთაშორისო კონფერენციების საორგანიზაციო კომიტეტის წევრი; წიგნების რედაქტორი და რეცენზენტი.

IV კატეგორიის ორივე ნაწილში კონკურსანტმა მიიღო „მაღალი“ შეფასება.

ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე დეპარტამენტი - ქიმია, კათედრა - ფიზიკური და ანალიზური ქიმია - ასოცირებული პროფესორის (კატეგორია „ა“) 1 ვაკანსიაზე საბუთები შემოიტანა ერთმა კანდიდატმა - ქიმიის მეცნიერებათა დოქტორმა მარინე რუხაძემ.

კონკურსის პირველ ეტაპზე საკონკურსო კომისიის მიერ შემოწმდა კონკურსანტ მარინე რუხაძის საკონკურსო დოკუმენტაცია და შეფასდა წარმოდგენილ ანკეტაში (118 დადგენილების დანართი №3) მოყვანილი ინფორმაცია კონკურსანტის შეფასების ფორმის (118 დადგენილების დანართი №4) მიხედვით.

შეფასების I კატეგორიაში (ფორმალური კვალიფიკაციის შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან) კონკურსანტი შეფასდა კრიტერიუმით „კვალიფიკაცია აკმაყოფილებს მოთხოვნებს“.

შეფასების II კატეგორიაში (პედაგოგიური გამოცდილების შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან) არსებული მონაცემების საფუძველზე: მარინე რუხაძეს აქვს 35 წლის პედაგოგიური სტაჟი, წლების განმავლობაში კითხულობს ლექციებს როგორც ბაკალავრიატის, ასევე მაგისტრატურის საფეხურის სტუდენტებთან, ბოლო 6 წელიწადში - 10 საგანს, ატარებს სასემინარო, პრაქტიკულ და ლაბორატორიულ მეცადინეობებს, გამოცემული აქვს სახელმძღვანელო - კომისიის მიერ კონკურსანტი შეფასდა კრიტერიუმით „მაღალი“.

შეფასების III კატეგორიაში (სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა) წარმოდგენილი მონაცემების საფუძველზე: პუბლიკაციები იმპაქტ-ფაქტორის მქონე ჟურნალებში - 34, სხვა მნიშვნელოვანი პუბლიკაციები - 4 (მათ შორის თავი წიგნში - 2, სტატია წიგნში - 1, სტატია ჟურნალში - 1), მოხსენებები საერთაშორისო კონფერენციებზე ბოლო 6 წლის განმავლობაში - 6; ციტირების ინდექსი - Google Scholar მიხედვით - 380, h-ინდექსი-10; Web of Science მიხედვით - 249, h-ინდექსი-7; Scopus მიხედვით - 295, h-ინდექსი-8; კონკურსანტის მიერ შესაფასებლად წარმოდგენილი ერთი სამეცნიერო ნაშრომი, რომელიც კომისიის მიერ შეფასდა, როგორც დარგთან შესაბამისობაში მყოფი მაღალი სამეცნიერო ღირებულების მქონე ნაშრომი; სამეცნიერო კვლევების კონცეფცია, რომელიც სრულად შეესაბამება ვაკანსიის პროფილს და ასახავს სამომავლო მოღვაწეობის მიზნებს - კონკურსანტი III კატეგორიის ორივე ნაწილში შეფასდა კრიტერიუმით „მაღალი“.

შეფასების IV კატეგორია (სხვა სახის აქტივობა, ბოლო 6 წელი): მარინე რუხაძე არის დაცული 2 სადოქტორო დისერტაციის, 11 სამაგისტრო და 10 საბაკალავრო ნაშრომის ხელმძღვანელი; სადოქტორო პროგრამის „კოლოიდური ქიმია“ ხელმძღვანელი.

დამატებითი ინფორმაციის მიხედვით:

-საქართველოს სახალხო განათლების სამინისტროს რესპუბლიკური პრემიის ლაურეატი, მეორე ხარისხის დიპლომი "ანტიეპილეფსიური პრეპარატების ქრომატოგრაფიული ანალიზის მეთოდების" სამეცნიერო ნაშრომის შექმნისთვის, 1990 წელი;

-პეტრე მელიქიშვილის სახელობის სამეცნიერო პრემია ნაშრომისათვის "თხევად ფაზაში მიმდინარე ქრომატოგრაფიული და ელსტრაქციული დაყოფების ოპტიმიზაცია", 2002 წელი;

-მეცნიერების ისტორიის საქართველოს საზოგადოების ვერცხლის მედალი კონკურსში მეცნიერი - 2006 წელი;

- 10 სადოქტორო დისერტაციის სამეცნიერო ხელმძღვანელი.

ჩამოთვლილი აქტივობების და დამატებითი ინფორმაციის თანახმად, IV კატეგორიის ორივე ნაწილში კომისიის მიერ კონკურსანტის შეფასება არის „მაღალი“

ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე დეპარტამენტი - ქიმია, კათედრა - მაკრომოლეკულების ქიმია - ასისტენტ პროფესორის (კატეგორია „ა“) 1 ვაკანსიაზე საბუთები შემოიტანა ერთმა კანდიდატმა ქიმიის დოქტორმა მარინა ქარჩხაძემ.

კონკურსანტი მარინა ქარჩხაძის მიერ წარმოდგენილი ანკეტა და საბუთები შეესაბამება გამოცხადებულ ვაკანსიას.

შეფასების I კატეგორიაში (ფორმალური კვალიფიკაციის შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან) მიიღო შეფასება „კვალიფიკაცია აკმაყოფილებს მოთხოვნებს“.

შეფასების II კატეგორიაში (პედაგოგიური გამოცდილების შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან) არსებული მონაცემების საფუძველზე: მარინა ქარჩხაძეს აქვს 34 წელი საერთო პედაგოგიური სტაჟი, წლების განმავლობაში კითხულობს ლექციებს როგორც ბაკალავრიატის, ასევე მაგისტრატურის საფეხურის სტუდენტებთან, ბოლო 6 წელიწადში - 6 საგანს, აქვს სასემინარო და ლაბორატორიული მეცადინეოები, არის სახელმძღვანელოს თანაავტორი და აქვს სალექციო კურსის ელექტრონული ვერსია მაგისტრატურის სტუდენტებისთვის - კომისიის მიერ მიიღო შეფასება „მაღალი“.

შეფასების III კატეგორიაში (სამეცნიერო კვლევითი საქმიანობა) არსებული მონაცემების საფუძველზე: სტატიები იმჟაქტ-ფაქტორის მქონე ჟურნალებში - 20; მოხსენებები საერთაშორისო და ადგილობრივ კონფერენციებზე - 8; ციტირების ინდექსი Google Scholar -ის მიხედვით - 311, h-ინდექსი-9, g-ინდექსი-17; Scopus-ის მიხედვით - 261, h-ინდექსი-7; Web of Science-ის მიხედვით - 221, h-ინდექსი-6. საგრანტო პროექტებში მონაწილეობა ბოლო 6 წლის განმავლობაში - 2; კონკურსანტის მიერ შესაფასებლად წარმოდგენილი სამეცნიერო ნაშრომი კომისიის მიერ შეფასდა, როგორც დარგთან შესაბამისობაში მყოფი მაღალი სამეცნიერო ღირებულების მქონე ნაშრომად; სამოტივაციო წერილი - კონკურსანტი III კატეგორიის ორივე ნაწილში შეფასდა კრიტერიუმით „მაღალი“.

შეფასების IV კატეგორია (სხვა სახის აქტივობა, ბოლო 6 წელი): კონკურსანტის მიერ ბოლო 6 წლის განმავლობაში გამოქვეყნებული სამეცნიერო შრომების რაოდენობა - 15, საბაკალავრო დიპლომის ხელმძღვანელობა - 1, მონოგრაფიის რედაქტორობა - 1. მარინა ქარჩხაძე დამაკმაყოფილებლად ფლობს კომპიუტერს (საოფისე პროგრამები: Word, Excel), სარგებლობს ინტერნეტით; კარგად ფლობს რუსულს, გერმანულს მწირედ.

დამატებითი ინფორმაციის თანახმად: კონკურსანტი მარინა ქარჩხაძე არის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ქიმიის დეპარტამენტის სტუდენტთა სამეცნიერო წრის თავმჯდომარე; მაგისტრატურაში მისაღები კომისიის წევრი, ყოველწლიური საფაკულტეტო კონფერენციის საორგანიზაციო კომისიის წევრი, ბაკალავრიატის და მაგისტრატურის სტუდენტების მოხსენებათა შეფასების კომისიის წევრი; ასრულებს მაკრომოლეკულების ქიმიის კათედრის გამგის მოვალეობას. იგი იყო ივ. ჯავახიშვილის სახელობის თსუ ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ქიმიის დეპარტამენტში ასოცირებული და ასისტენტ პროფესორების აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად შესარჩევი საკონკურსო-სააპელაციო (2023 წ.) და საკონკურსო (2024 წ.)

კომისიის მდივანი.

ჩამოთვლილი აქტივობების და დამატებითი ინფორმაციის თანახმად, IV კატეგორიის ორივე ნაწილში კომისიის მიერ კონკურსანტის შეფასება არის „მაღალი“.

კონკურსანტებს - მაია რუსიას, მარინე რუხაძეს და მარინა ქარჩხაძეს მიენიჭათ პრეტენდენტის სტატუსი და დაშვებულ იქნა კონკურსის მეორე ეტაპზე-გასაუბრებაზე.

გასაუბრება ჩატარდა პრეტენდენტების სამეცნიერო-პედაგოგიური საქმიანობის მოკლე მომოხილვისა და კითხვა-პასუხის რეჟიმში.

ზოგადი, არაორგანული და მეტალორგანული ქიმიის კათედრა

მაია რუსია

კანდიდატს გასაუბრებისას დაესვა კითხვები და დადებითად შეფასდა პრეტენდენტის პროფესიული უნარ-ჩვევები, გადმოცემისა და ლოგიკური აზროვნების უნარი, ქცევისა და მეტყველების მანერა, უნივერსიტეტის სტრუქტურისა და მართვის სისტემის ცოდნა და სხვა ისეთი საკითხები, რომლებიც დაკავშირებული იყო უნივერსიტეტში აკადემიური პერსონალის შრომით და საგანმანათლებლო-სამეცნიერო საქმიანობასთან.

კომისიის თავმჯდომარის, აკად. რ. გაბოვიძის შეკითხვაზე: რა საგნებს კითხულობთ და მომავალში რას წაიკითხავდით? კონკურსანტმა უპასუხა, რომ კითხულობს „ქიმიის შესავალს“, „ზოგად ქიმიას“, „სამედიცინო ქიმიას“, მაგისტრანტებთან „კოორდინაციულ ნაერთთა სინთეზი (1)“ და „კოორდინაციულ ნაერთთა სინთეზი (2)“. სამომავლოდ, სურვილი აქვს მედიცინის ფაკულტეტის სტუდენტებისთვის შეადგინოს სილაბუსი და თუ ამის შესაძლებლობა იქნება, კურიკულუმის გეგმას დაემატოს არჩევითი საგანი „ბიოგენური ელემენტები და ხელატოთერაპია“, რომელიც გამოადგებათ ამ ფაკულტეტის სტუდენტებს.

კომისიის თავმჯდომარის მეორე შეკითხვაზე რა მიგაჩნიათ პედაგოგიურ მოღვაწეობაში სიახლეთ, რა შეიტანეთ ან შეიტანდით? კონკურსანტმა უპასუხა, რომ ამ კუთხით გამზადებული აქვს წიგნი „ზოგადი ქიმია კითხვებსა და პასუხებში“ დასაბეჭდად, რომელიც სტუდენტებს განუვითარებს აზროვნებას და დაეხმარება როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული ნაწილის გაძლიერებაში. სტუდენტებთან მუშაობისას მისი მიზანია არა მხოლოდ მიაწოდოს მათ ამომწურავი და გასაგები ფაქტობრივი ინფორმაცია საგანთან მიმართებაში, არამედ ხელი შეუწყოს გამოიმუშაონ: კრიტიკული და ანალიტიკური აზროვნება; ქიმიური მოვლენის ასახსნელად ჰიპოთეზის გამოთქმა და მისი შესამოწმებელი ექსპერიმენტის ჩამოყალიბება და ჩატარება; ქიმიური ექსპერიმენტის შედეგების სწორი ანალიზი და ინტერპრეტაცია; თანამედროვე ლიტერატურასთან მუშაობის ტექნიკა - ღია და უნივერსიტეტის წვდომის ქვეშ მყოფ ქიმიურ მონაცემთა ბაზებში ძიება სხვადასხვა კრიტერიუმით; პრეზენტაციული უნარები; კვლევის შედეგების სტრუქტურირება, რათა

სტუდენტისთვის თვალსაჩინო იყოს კვლევის დაწყებიდან საბოლოო პუბლიკაციამდე მიმავალი გზის ყველა საფეხური.

კომისიის თავმჯდომარის მოადგილის მარინე ავალიანის შეკითხვაზე: ხომ არ გიჭირთ ეხლანდელი თაობის სტუდენტებთან მუშაობა? კონკურსანტმა მაია რუსიამ უპასუხა, რომ დისციპლინის კუთხით პრობლემები არ ყოფილა არც ქიმიის საბაკალავრო პროგრამის და არც მედიცინის ფაკულტეტის სტუდენტებთან. მოწესრიგებული სტუდენტები არიან.

კონკურსანტმა აღნიშნა, რომ მისი სამეცნიერო კვლევები ძირითადად მოიცავს დარიშხანორგანული ნაერთების სინთეზს და მათი ლიგანდებად გამოყენების შესაძლებლობების შესწავლას; ასევე d- და f-მეტალთა ტეტრათიოანთიმონატების და მათი კოორდინაციული ნაერთების მიღებას მონო- და ბიდენტატურ აზოტშემცველ ლიგანდებთან; ამ სფეროში სამეცნიერო-კვლევით საქმიანობას საქართველოს წიაღისეული რესურსი იძლევა.

კონკურსანტი - მაია რუსია გასაუბრების შემდეგ შეფასდა კომისიის წევრების მიერ დადებითად. აღინიშნა, რომ სანიმუშო თანამშრომელია, ყველა ნიშან-თვისება აქვს რაც უნდა ჰქონდეს პროფესორს, გამოირჩევა ქიმიის ღრმა ცოდნით, წესიერი ადამიანია. აკადემიური დონით, მეტყველებით, აზროვნებით და ერუდიციით იმსახურებს ზოგადი, არაორგანული და მეტალორგანული ქიმიის კათედრაზე ასოცირებული პროფესორის (კატეგორია „ა“) თანამდებობას.

ფიზიკური და ანალიზური ქიმიის კათედრა

მარინე რუხაძე

კონკურსანტს გასაუბრებისას დაესვა კითხვები და დადებითად შეფასდა პრეტენდენტის პროფესიული უნარ-ჩვევები, გადმოცემისა და ლოგიკური აზროვნების უნარი, ქცევისა და მეტყველების მანერა, უნივერსიტეტის სტრუქტურისა და მართვის სისტემის ცოდნა და სხვა ისეთი საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია უნივერსიტეტში აკადემიური პერსონალის შრომით და საგანმანათლებლო-სამეცნიერო საქმიანობასთან.

კონკურსანტმა მ.რუხაძემ აღნიშნა, რომ სამეცნიერო სამუშაოს ჯგუფის წევრებთან ერთად გაგრძელებს მიკროემულსიურ სისტემებზე, თუმცა ძირითადად შეისწავლიან შებრუნებული მიცელების წყლის წვეთებში მიმდინარე რეაქციებს (რხევითი რეაქციები და ნანონაწილაკების მიღება), ასევე ჩაჭერილ წყლის წვეთებში ჩანერგილი ბიოპოლიმერების, კერძოდ ცილების სტრუქტურულ ცვლილებებს. გარდა ამისა, გაგრძელებს წამლების ბიოშემთვისებლობის შესწავლა მიკროემულსიურ სისტემებში. ამასთან, გამოკვლეული იქნება უკვე ადრეულ შრომებში გამოცდილი და შესწავლილი დანამატების გავლენა

შებრუნებული მიცელების წყლის წვეთებში მიმდინარე რეაქციებსა თუ მათში ჩანერგილ ბიოპოლიმერებზე.

კომისიის თავმჯდომარის, აკად. რ. გახოვიძის შევითხვავზე ხომ არ შეგიძლიათ „ბიოლოგიური ქიმიის“ კურსის სილაბუსის წარმოდგენა, ვინაიდან კონკურსანტის ანკეტაში გიწერიათ, რომ შეგიძლიათ აღნიშნული კურსის წაკითხვა, კონკურსანტმა უპასუხა, ანკეტაში ასეთი კითხვაა, რა კურსების წაკითხვა შეგიძლიათ გარდა წამოდგენილი სილაბუსებისა. ქიმიის კურიკულუმის ფარგლებში დაასახელა სამი საგანი, მათ შორის „ბიოლოგიური ქიმია“. „ბიოლოგიური ქიმიის“ სილაბუსი ჯერ არა აქვს შედგენილი, რადგან არ აქვს ამ საგნის წაკითხვის შეთავაზება. თუმცა გაცნობილია უცხოეთში ამ საგნის სილაბუსებს, მასში მირითადად ფიზიკური ქიმიის საფუძველზეა წარმოდგენილი ბიოლოგიური პროცესები, რაც მის სამეცნიერო ინტერესს წარმოადგენდა ყოველთვის და ახლაც ამ სფეროში მუშაობს. ამასთან, აღნიშნა, რომ წლების განმავლობაში კითხულობს ბიოლოგიური სისტემების ფიზიკურ ქიმიას მაგისტრატურაში.

კომისიის თავმჯდომარის მეორე შევითხვავზე: როგორც ცნობილია, ბიოლოგიურ მემბრანულ მოდელებზე მუშაობთ; უჯრედულ მემბრანებში ხდება Na^+ და K^+ აქტიური და პასიური გადატანა; საინტერესოა პასიური გადატანა, რომელიც თერმოდინამიკის კანონს ეწინააღმდეგება, ხომ არ გაქვთ თქვენი მოდელი და ხომ ვერ ახსნით ქიმიურად? კონკურსანტმა უპასუხა, რომ სამეცნიერო ჯგუფთან ერთად მუშაობს მარილების დანამატებზე მემბრანულ მოდელებში, კერძოდ შებრუნებულ მიცელებში. სწავლობენ ელექტრული პერკოლაციის მოვლენაზე მარილების დანამატების გავლენას. ელექტრული პერკოლაციის მოვლენა ძალიან ჰგავს მემბრანულ გამტარობას ნეირონებში. კვლევაში აქვთ ნატრიუმის და კალიუმის მარილების შედარება, სადაც გამოვლინდა კალიუმის იონების უფრო ძლიერი უნარი ნატრიუმის იონებთან შედარებით დათრგუნოს ელექტრული პერკოლაციის მოვლენა. თუმცა, მაგ, ლითიუმის ფტორიდის შემთხვევაში პერკოლაცია მთლიანად ჩაქრა, რაც იონების სპეციფიური ეფექტების გამოვლენის ძალიან კარგი მაგალითია. რაც შეეხება უშუალოდ კითხვას ნატრიუმის და კალიუმის იონების პასიურ და აქტიურ გადატანას უჯრედულ მემბრანებში, ლიტერატურიდან ცნობილია, რომ უჯრედგარე სითხესთან შედარებით უჯრედში კალიუმის იონების კონცენტრაცია უფრო მაღალია, ხოლო ნატრიუმის იონების უფრო დაბალი. თუ უჯრედის გარეთ ნატრიუმის იონებია, ისინი უჯრედში თავისით შევა დიფუზიით კონცენტრაციული გრადიენტის შესაბამისად, ხოლო კალიუმის იონებს მემბრანული პოტენციალი უჯრედში შესვლისკენ „უბიძგებს“, მაგრამ კონცენტრაციული გრადიენტი, პირიქით, უჯრედიდან გარეთ გასვლას „ავალებს“ (დაბალი კონცენტრაციის არისკენ). კალიუმის იონების საბოლოო კონცენტრაციები მემბრანის აქეთ-იქითა მხარეს ამ ორი საპირისპირო ძალის ეფექტებს შორის იქნება გაწონასწორებული.

აკად. რ. გახოვიძის მორიგ კითხვაზე რა არის AOT? მ.რუხაძემ უპასუხა, რომ AOT არის ბის (2-ეთილჰექსილ) სულფოსუქცინატის ნატრიუმიანი მარილი ან დიოქტილ სულფოსუქცინატის ნატრიუმიანი მარილი. მის შედგენილობაში ქარვის მჟავას ნაწილებია, ამიტომ სუქცინატი

ფიგურირებს მის დასახელებაში. სწორედ AOT არის კლასიკური ზედაპირულად აქტიური ნივთიერება ყველა სამეცნიერო კვლევაში, სადაც კი მემბრანულ მოდელებს ქმნიან, რათა შეიქმნას ზუნებრივი ბიოლოგიური მემბრანის მსგავსი გარემო.

კონკურსანტი - მარინე რუხაძე გასაუბრების შემდეგ კომისიის წევრების მიერ შეფასდა დადებითად. აღინიშნა, რომ ქიმიის მეცნიერებათა დოქტორი მარინე რუხაძე ყოველთვის არის მომზადებული, მცოდნე და პრინციპული. მისი მაღალი აკადემიური დონე, გამოცდილება და პროფესიული უნარ-ჩვევები მიუთითებს, რომ ღირსეული კანდიდატია ფიზიკური და ანალიზური ქიმიის კათედრის ასოცირებული პროფესორის (კატეგორია „ა“) თანამდებობაზე.

მაკრომოლეკულების ქიმიის კათედრა

მარინა ქარჩხაძე

კანდიდატს გასაუბრებისას დაესვა კითხვები და დადებითად შეფასდა პრეტენდენტის პროფესიული უნარ-ჩვევები, გადმოცემისა და ლოგიკური აზროვნების უნარი, ქცევისა და მეტყველების მანერა, უნივერსიტეტის სტრუქტურისა და მართვის სისტემის ცოდნა და სხვა ისეთი საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია უნივერსიტეტში აკადემიური პერსონალის შრომით და საგანმანათლებლო-სამეცნიერო საქმიანობასთან.

კომისიის თავმჯდომარის მოადგილის მ. ავალიანის შეკითხვაზე: ბოლო პერიოდში რა სამეცნიერო თემაზე მუშაობთ? კონკურსანტ მარინა ქარჩხაძემ უპასუხა, რომ კათედრაზე მუშაობა მიმდინარეობდა სხვადასხვა მიმართულებით. პირადად იგი მუშაობდა ზოოროგანულ, ფოსფოროგანულ ნაერთებზე. ფოსფოროგანულ ნაერთებზე მუშაობა შეწყდა ამ ნივთიერებების მაღალი ტოქსიკურობის გამო. შემდეგ გარკვეული პერიოდი მუშაობდნენ ნორბორნენის რადიკალის შემცველ ნივთიერებებზე. დიციკლოპენტადიენის დაშლით ღებულობდნენ ციკლოპენტადიენს, ხოლო ციკლოპენტადიენის ურთიერთქმედებით ორგანოქლორსილანებთან (დილს-ალდერის რეაქციით) შესაბამისად ნორბორნენ ქლორსილანებს, რომელთაც შემდეგ გარდაქმნიდნენ ციკლურ და ხაზოვან პროდუქტებში. მისი ინტერესის სფეროს მიეკუთვნებოდა α -ნაფტალინის რადიკალის შემცველი მონომერების, ოლიგომერებისა და პოლიმერების სინთეზი და კვლევა, ასევე მაკრომოლეკულურ ჯაჭვში 1,4-ბის(დიორგანოსილჰიდრო)ნაფტილენსილოქსანური ფრაგმენტების შემცველი პოლიორგანოსილოქსანების მიღება და ა.შ. ბოლო წლებში გარკვეული მიზეზების გამო მ.ქარჩხაძემ მუშაობა დავიწყო მაღალეფექტურ სითხურ ქრომატოგრაფიაში, სადაც პოლისაქარიდულ სტაციონარულ ფაზებზე ყოფნ ქირალური ნივთიერებების ენანტიომერებს.

კომისიის თავმჯდომარის აკად. რამაზ გახოკიძის შეკითხვაზე: თუ იყენებთ თქვენს კვლევას სტუდენტებთან მუშაობისას? კონკურსანტ მარინა ქარჩხაძემ უპასუხა, რომ სტუდენტების დიდი ნაწილი მუშაობს ქირალური ნივთიერებების დაყოფაზე. პოლისაქარიდების, კერძოდ ცელულოზას და ამილოზას ფენილკარბამატები და ეთერები მიეკუთვნება ქირალურ ნივთიერებათა ენანტიომერული ნარევების დასაყოფად ყველაზე ფართოდ გამოყენებულ მასალებს. მას თვითონაც უმუშავია ბრინჯის სახამებლიდან ამილოზას გამოყოფაზე. ცელულოზას და ამილოზას ელემენტური რგოლი შეიცავს სამ ჰიდროქსილის ჯგუფს, რაც საშუალებას იძლევა მათგან მიღებულ იქნას პოლიმერანალოგიური გარდაქმნით ესტერები და ფენილკარბამატები. ამილოზას და ცელულოზას ურთიერთქმედებით შესაბამისი იზოციანატთან მიიღებატრ ისფენილკარბამატები, რომლებიც ფართოდ გამოიყენება სელექტორად ქირალურ ანალიზში. ამ საკითხების ცოდნა სტუდენტებისთვის საინტერესო და სასარგებლოა. ასეთ თემებს ვამუშავებთ სტუდენტთა სამეცნიერო წრისთვის.

კონკურსანტმა აღნიშნა - იმის გამო რომ აქვთ რეაქტივების დეფიციტი, პოლიმერების სინთეზი გართულებულია, ამიტომ ფიქრობს საწარმოო მნიშვნელობის პოლიმერის გამოყენებას, რათა მოახდინონ მისი მოდიფიცირება და მოდიფიცირებული პოლიმერის ბაზაზე კომპოზიციური მასალის მიღება.

კონკურსანტი - მარინე რუხაძე გასაუბრების შემდეგ კომისიის წევრების მიერ შეფასდა დადებითად. აღინიშნა, რომ კონკურსანტი ყველანაირად არაჩვეულებრივი პიროვნებაა, აკმაყოფილებს პროფესორის ყველა მოთხოვნას, მაღალი აკადემიური დონის და პროფესიული უნარ-ჩვევების მიხედვით ღირსეული კადრია მაკრომოლეკულების ქიმიის კათედრის ასისტენტ პროფესორის (კატეგორია „ა“) თანამდებობაზე.

შეფასების პირველი და მეორე ეტაპების შედეგების ურთიერთშეჯერების საფუძველზე კონკურსში გამარჯვებულების გამოვლენის მიზნით მოქმედი დებულების თანახმად ჩატარდა ფარული კენჭისყრა. კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო კომისიის ხუთივე წევრმა.

ა) მაია რუსია (ზოგადი, არაორგანული და მეტალორგანული ქიმიის კათედრის ასოცირებული პროფესორის თანამდებობაზე -კატეგორია „ა“)
გამარჯვებულად გამოცხადების მომხრე - 5; წინააღმდეგი -არც ერთი.

ბ) მარინე რუხაძე (ფიზიკური და ანალიზური ქიმიის კათედრის ასოცირებული პროფესორის თანამდებობაზე -კატეგორია „ა“)
გამარჯვებულად გამოცხადების მომხრე - 5; წინააღმდეგი -არც ერთი.

გ) მარინა ქარჩხაძე (მაკრომოლეკულების ქიმიის კათედრის ასისტენტ პროფესორის თანამდებობაზე -კატეგორია „ა“)
გამარჯვებულად გამოცხადების მომხრე - 5; წინააღმდეგი -არც ერთი.

ზოგადი, არაორგანული და მეტალორგანული ქიმიის კათედრის ასოცირებული პროფესორის თანამდებობაზე - კატეგორია „ა“ მაია რუსიას კანდიდატურა საკონკურსო კომისიის მიერ გამართლებულია იმ თვალსაზრისით, რომ მას აქვს 20 წელზე მეტი პედაგოგიური სტაჟი, წლების განმავლობაში მაღალ აკადემიურ დონეზე კითხულობს ლექციებს როგორც ბაკალავრიატის, ასევე მაგისტრატურის სტუდენტებთან, ბოლო 6 წელიწადში - 7 საგანს, ატარებს სასემინარო და ლაბორატორიულ მეცადინეობებს, არის 5 სახელმძღვანელოს თანაავტორი, აქვს ელექტრონული კურსები, პუბლიკაციები მაღალ რეიტინგულ ჟურნალებში, მაღალი ციტირების ინდექსი -39, პატენტები და სხვ. იგი არის საჯარო სკოლებთან ურთიერთობის კოორდინატორი.

ფიზიკური და ანალიზური ქიმიის კათედრის ასოცირებული პროფესორის თანამდებობაზე - კატეგორია „ა“ მარინე რუხამესთვის გამარჯვებული კანდიდატის სტატუსის მინიჭებისას კომისია დაეყრდნო კონკურსანტის ნაყოფიერ აკადემიურ და სამეცნიერო საქმიანობას. მარინე რუხამეს აქვს 35 წლის პედაგოგიური სტაჟი, წლების განმავლობაში კითხულობს ლექციებს როგორც ბაკალავრიატის, ასევე მაგისტრატურის საფეხურის სტუდენტებთან, ბოლო 6 წელიწადში - 10 საგანს, ატარებს სასემინარო, პრაქტიკულ და ლაბორატორიულ მეცადინეობებს. მისი ციტირების ინდექსი Web of Science მიხედვით - 249, h-ინდექსი-7. ბოლო 6 წლის მანძილზე მარინე რუხამე არის დაცული 2 სადოქტორო დისერტაციის, 11 სამაგისტრო და 10 საბაკალავრო ნაშრომის სამეცნიერო ხელმძღვანელი.

მაკრომოლეკულების ქიმიის კათედრის ასისტენტ პროფესორის თანამდებობაზე - კატეგორია „ა“ მარინა ქარჩხაძის კანდიდატურა საკონკურსო კომისიის მიერ გამართლებულია იმ თვალსაზრისით, რომ მარინა ქარჩხაძეს აქვს 34 წელი საერთო პედაგოგიური სტაჟი, წლების განმავლობაში კითხულობს ლექციებს როგორც ბაკალავრიატის, ასევე მაგისტრატურის საფეხურის სტუდენტებთან, ბოლო 6 წელიწადში - 6 საგანს, აქვს სასემინარო და ლაბორატორიული მეცადინეობები, არის სახელმძღვანელოს თანაავტორი. მისი ციტირების ინდექსი Scopus-ის მიხედვით - 261, h-ინდექსი-7; კონკურსანტი მარინა ქარჩხაძე არის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ქიმიის დეპარტამენტის სტუდენტთა სამეცნიერო წრის თავმჯდომარე.

ერთხმად დაადგინეს:

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის

ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ქიმიის დეპარტამენტის:

ა) ზოგადი, არაორგანული და მეტალორგანული ქიმიის კათედრის ასოცირებული პროფესორის (კატეგორია „ა“) თანამდებობის დასაკავებლად გამოცხადებული კონკურსის საკონკურსო კომისიამ გამარჯვებული კანდიდატის სტატუსი მიანიჭა მაია რუსიას;

ბ) ფიზიკური და ანალიზური ქიმიის კათედრის ასოცირებული პროფესორის (კატეგორია „ა“) თანამდებობის დასაკავებლად გამოცხადებული კონკურსის

საკონკურსო კომისიამ გამარჯვებული კანდიდატის სტატუსი მიანიჭა მარინე რუხაძეს;

გ) მაკრომოლეკულების ქიმიის კათედრის ასისტენტ პროფესორის (კატეგორია „ა“) თანამდებობის დასაკავებლად გამოცხადებული კონკურსის საკონკურსო კომისიამ გამარჯვებული კანდიდატის სტატუსი მიანიჭა მარინა ქარჩაძეს.

2. კომისიამ იმსჯელა უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ №118/2014 დადგენილებით დამტკიცებული აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღებისა და კონკურსის ჩატარების წესის შესახებ და ერთხმად დაადგინა, რომ შემაჯამებელი ოქმი დასამტკიცებლად გადაეცეს უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოს.

კომისიის წევრების ხელმოწერა:

კომისიის თავმჯდომარე, პროფ.

კომისიის თავმჯდომარის მოადგილე

წევრები:

ასოც. პროფ.

ასისტ. პროფ.

მდივანი, ასისტენტ პროფ.


/რ. გაბაშვილი/
მ. ავალიანი /
/მ. ავალიანი/

ა. მსხილაძე /ა. მსხილაძე/
ქ. გიორგაძე /ქ. გიორგაძე/
ნ. თაყაიშვილი /ნ. თაყაიშვილი/


თარიღი: 1 ოქტომბერი 2025 წელი